ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომა

ო ქ მ ი#8

23 სექტემბერი 2020 წელი

14.30სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გვანცა გრძელიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მაკა მესხი
გურამი კიკნაველიძე
ირინა ტყეშელაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საქმის წარმოების განყოფილების უფროსი: ლაშა ენდელაძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძე
ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. "ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ეკა მშვილდაძე
   თანამომხსენებელი: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. კახა მსხვილიძე

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე 2020 წლის მეოთხე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: "ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტმა ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძემ

კომისიის წევრი: მაკა მესხმმა განაცხადა, რომ რა განსხვავება არის როდესაც ერთი და იგივე რანგზე სხვადასხვა ხელფასებია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტმა: ზანდა ჯიხვაძე-ფაიქიძემ გააკეთა განმარტება ხელფასებთან დაკავშირებით „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ"საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელფასო ბადე გვაძლევს საშუალებას დადგინდეს ხელაფასების ოდენობა ფუნქციური და საპასუხისმგებლო დატვირთვის გათვალისწინებით. შესაბამისად ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ორ პირველად სტრუქტურულ ერთეულში ეკონომიკის სამსახურის ტურიზმის განვითარების განყოფილების ორ საშტატო და სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სამ პოზიციაზე, მათ შორის ახლად შექმნილი მეორადი

სტრუქტურული ერთეულის-ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების ორ პოზიციაზე თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრა 0.8 კოეფიციენტით, 800 (რვაასი) ლარის ოდენობით

კომისიის წევრი: მაკა მესხმმა განაცხადა, რომ არ მიმაჩნია ხელფასების მატება სწორად როდესაც არ იკვეთება ფუნქციური დატვირთვა და ერთიდაიგივე რანგების დატვირთვა რითი განსხვავდება

კომისიის წევრი: ირინა ტყეშელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს სამსახურები აკეთებენ საქმეს და შესაბამისად გაკეთებული საქმეებიც ბევრია

კომისიის სხდომის მსვლელობისას კომისიის წევრებს მაკა მესხსა და ირინა ტყეშელაშვილს შორის ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებმა გამოიწვია ცხარე კამათი

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: "ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

კომისიამ გადაწყვიტა:

"ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე: 3

წინააღმდეგი: 1 მაკა მესხი

კომისიის სხდომა დატოვა კომისიის წევრმა: ირინა ტყეშელაშვილმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი2. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის

განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის, თანადაფინანსების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსმა: კახა მსხვილიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ პირველი დოკუმენტაცია იყო ხარვეზიანი კოსტავას ქუჩის შემთხვევაში და გაუჭირდათ ბინის მცხოვრებლებს 10%-იანი ვალდებულების შესრულება ამიტომ გვინდა ჩავშალოთ თანადაფინანსება 95-5%-ზე

კომისიის წევრი: მაკა მესხმმა კითხვით მიმართა კახა მსხვილიძეს, ახლა რატომ ვერ სწორდება ხრვეზი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი: კახა მსხვილიძემ უპასუხა მაკა მესხს, რომ ეს ხარვეზები იყო და აუცილებელია ამ შენიშვენების გამოხატვა კომისიაზე, მაგალითად გვინდა ჩავშალოთ თანადაფინანსება 95-5%-ზე და საკითხის შემდგომი შესწავლის მიზნით მოხდეს დაშვებული ხარვეზების გასწორება

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ხარვეზიანია მისი გარკვეული პუნქტები მოდის წინააღმდეგობაში კანონმდებლობასთან, შესაბამისად აუცილებელია საკითხი გასწორების მიზნით დაუბრუნდეს მერიას

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ ერთხმად მიიღო თანახმობა მოხდეს საკითხის შესწავლა ხარვეზების გასწორება შესაბამისი სამსახურების მიერ და ამის შემდგომ საკითხის კომისიაზე განხილვა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი3. კომისიის თავმჯდომარემ, გვანცა გრძელიძემ დამსწრე კომისიის წევრებს წარმოუდგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე 2020 წლის მეოთხე კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიამ ერთხმად მიიღო თანახმობა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე 2020 წლის მეოთხე

კვარტალში განსახილველ საკითხთა სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ. საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომაზე

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხები ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გვანცა გრძელიძე